



საერთაშორისო
გამჭვირვალობა
საქართველო



ახადციხის საკრებულოს საქმიანობის შეფასება

საჩივრი

შესავალი:	_____	3
თავი 1. ძირითადი მიგნებები	_____	4
თავი 2. ზოგადი ინფორმაცია ახალციხის საკრებულოს შესახებ	_____	5
თავი 3. ცვლილებები ახალციხის საკრებულოს შემადგენლობაში	_____	10
თავი 4. საკრებულოს კომისიების და ფრაქციების საქმიანობა	_____	11
თავი 5. საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების კონტროლი	_____	14
თავი 6. არასრულად შევსებული დეკლარაციები	_____	15
თავი 7. საკრებულოს წევრთა ჩართულობა საკრებულოს საქმიანობაში	_____	18
თავი 8. მოქალაქეთა ჩართულობა საკრებულოს საქმიანობაში	_____	22
თავი 9. გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობა	_____	23
თავი 10. საკრებულოს ხარჯები	_____	24

შესავალი:

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ აფასებს ახალციხის მუნიციპალიტეტის 2017 წლის მონვევის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს საქმიანობას.

ანგარიში ეფუძნება საკრებულოდან გამოთხოვილ, ახალციხის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე არსებულ ინფორმაციასა და ჩვენი ორგანიზაციის დაკვირვებებს.

კვლევის საანგარიშო პერიოდია 2017 წლის ნოემბრიდან 2019 წლის დეკემბრის ჩათვლით.

თავი 1. ძირითადი მიზნები

- ახალციხის საკრებულო საანგარიშო პერიოდის განმავლობაში აღმასრულებელ ორგანოზე სუსტ ზედამხედველობას ახორციელებდა, საკრებულოს მიერ მის წინაშე ანგარიშვალდებულ თანამდებობის პირთა თუ ცალკეულ უწყებათა კონტროლი უმეტეს შემთხვევაში ფორმალურ ხასიათს ატარებდა;
- საკრებულოს, ან მის ფრაქციებს/კომისიებს აღმასრულებელი ორგანოს წარმომადგენლები რაიმე საკითხის განსახილველად არ მიუწვევია.
- ახალციხის საკრებულოს ინტერესთა კონფლიქტის, თანამდებობრივი შეუთავსებლობის, საკრებულოს რეგლამენტის და ეთიკის ნორმების დარღვევის ფაქტები არ გამოუვლენია;
- საანგარიშო პერიოდში ახალციხის საკრებულოში 40 სხდომა გაიმართა და დღის წესრიგით გათვალისწინებული 303 საკითხი განიხილა. კენჭისყრაზე 283 საკითხი გავიდა და, ერთის გარდა, დეპუტატებმა ყველა უცვლელი სახით მიიღეს.
- ამავე პერიოდში საკრებულოში ხუთმა მუდმივმოქმედმა კომისიამ 86 სხდომა გამართა. სხდომებზე გატანილი 209 საკითხიდან, გარდა ოთხისა, ყველა ერთხმად და უცვლელი სახით მიიღეს. ერთ საკითხს დეპუტატებმა მხარი არ დაუჭირეს (თუმცა, ექვსი თვის მოგვიანებით იგივე საკითხი მაინც დააკმაყოფილეს), სამ მათგანში კი ცვლილება შეიტანეს და კენჭი ისე უყარეს.
- ახალციხის საკრებულოში პრობლემაა თანამდებობის პირების ქონებრივი მდგომარეობის შესახებ დეკლარაციის არასრულად შევსება, 17 თანამდებობის პირს შორის 5-ს დეკლარაცია არასრულად აქვს შევსებული;
- საკრებულოში მოქმედი ხუთი ფრაქციიდან ინიციატივა მხოლოდ ერთმა წარადგინა. ფრაქციების მიერ განეული საქმიანობისთვის ჯამში 326,784.71 ლარია დახარჯული.
- საკრებულოში 2018 წლის მარტიდან ფუნქციონირებს გენდერული თანასწორობის საბჭო, თუმცა მას საკვლევ პერიოდში არც სამართლებრივი აქტების პროექტების ანალიზი განუხორციელებია, არც გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად ჩატარებული ღონისძიებების მონიტორინგი-შეფასების სისტემის შემუშავებაზე უმუშავია და არც რეკომენდაციები მოუმზადებია.
- დეპუტატებმა საკრებულოს სხდომები 340-ჯერ გააცდინეს, მათ შორის 334 - არასაპატიო მიზეზით. რაც შეეხება კომისიების სხდომებში მონაწილეობას - ჯამში გაცდენის 218 შემთხვევაა დაფიქსირებული.
- საანგარიშო პერიოდში ახალციხის საკრებულოს ხარჯებმა 1,260,757.76 ლარი შეადგინა. აქედან 1,131,599.09 ლარი - ხელფასებში, 51,500 ლარი კი პრემია-დანამატებში გაიწერა.
- საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ახალციხის საკრებულომ 26,535.03 ლიტრი სანჯავი გახარჯა, რომლის ღირებულებამაც 57,615.86 ლარი შეადგინა, აქედან ყველაზე მეტი 12,249.74 ლიტრი სანჯავი (ჯამური ღირებულებით - 26,078.03 ლარი) საკრებულოს თავმჯდომარემ გახარჯა.

თავი 2. ზოგადი ინფორმაცია ახალციხის საკრებულოს შესახებ

ახალციხის საკრებულო ახალციხის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა, რომელიც ახორციელებს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ განსაზღვრულ უფლებამოსილებებს, აგრეთვე, კანონით დადგენილ ფარგლებში, კონტროლს უწევს აღმასრულებელი ორგანოსა და ამ ორგანოს თანამდებობის პირების საქმიანობას, ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციით, სხვა საკანონმდებლო აქტებითა და საკრებულოს რეგლამენტით მისთვის განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

ახალციხის საკრებულოში 33 წევრია. მათგან 18 მაჟორიტარული წესით აირჩევა, 15 კი - პროპორციული წესით.

საკრებულოში ოპოზიციურ პარტიებს სულ 5 წევრი ჰყავთ, მათ შორის 3 „ევროპულ საქართველოს“, 2 კი - „ნაციონალურ მოძრაობას“. ხუთივე მათგანი საკრებულოში პროპორციული სიით შევიდა.

ახალციხის საკრებულოში 7 ქალია, მათგან 4-ს თანამდებობა უკავია.

საკითხების წინასწარი მომზადების, გადანყვეტილებათა შესრულებისათვის ხელშეწყობის, მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და საკრებულოს მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების კონტროლის მიზნით, საკრებულო თავისი შეხედულებებისამებრ ქმნის კომისიებს.

ახალციხის საკრებულოში საკრებულოს უფლებამოსილების ვადით შექმნილია 5 კომისია:

1. იურიდიულ, სამანდატო საკითხთა და ეთიკის კომისია - თავმჯდომარე ვლადიმერ კურტანიძე;
2. საფინანსო-საბიუჯეტო კომისია - თავმჯდომარე მანანა ბალიაშვილი;
3. სოციალურ საკითხთა, კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია - თავმჯდომარე ამბარცუმ ბაბოიანი;
4. ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისია - თავმჯდომარე ბესიკ გოგსაძე;
5. სივრცით-ტერიტორიული და გეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია - თავმჯდომარე ვასილ სისვაძე.

საკრებულოში ფუნქციონირებს 5 ფრაქცია:

ფრაქცია	თავმჯდომარე
„ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო-ახალციხე“	გიორგი გვარამაძე

„ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“	ირინა გელაშვილი
„ქართული ოცნება-კონსერვატორები“	არუთუნ აგაბაბიანი
„ქართული ოცნება-მრეწველები“	გიორგი ბეროშვილი
“ქართული ოცნება-მწვანეები”	თამარ გოგოლაძე

ფრაქცია “ქართული ოცნება-მწვანეების” გარდა, ყველა ფრაქციის თავმჯდომარეს ჰყავს მოადგილე. მათ შორის ორი მოადგილე ჰყავს ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო-ახალციხეს“ თავმჯდომარეს.

ჯამში ახალციხის საკრებულოს 33 წევრიდან თანამდებობას 17 წევრი იკავებს:

სახელი/გვარი	თანამდებობა	არჩევის თარიღი
გელა ნოზაძე	საკრებულოს თავმჯდომარე („ქართული ოცნება“)	14.11.2017
იოსებ კაპანაძე	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე („ქართული ოცნება“)	14.11.2017
კომისიის თავმჯდომარეები		
ვლადიმერ კურტანიძე	კომისიის თავმჯდომარე („ქართული ოცნება“)	14.11.2017
მანანა ბალიაშვილი	კომისიის თავმჯდომარე („ქართული ოცნება“)	14.11.2017
ამბარცუმ ბაბოიანი	კომისიის თავმჯდომარე („ქართული ოცნება“)	14.11.2017
ბესიკ გოგსაძე	კომისიის თავმჯდომარე („ქართული ოცნება“)	14.11.2017
ვასილ სისვაძე	კომისიის თავმჯდომარე („ქართული ოცნება“)	14.11.2017

ფრაქციის თავმჯდომარეები და მოადგილეები		
გიორგი გვარამაძე	„ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო-ახალციხე“ - თავმჯდომარე („ქართული ოცნება“)	14.11.2017
ირინა გელაშვილი	„ევროპული საქართველო მოძრაობა თავისუფლებისათვის“ - თავმჯდომარე („ევროპული საქართველო“)	11.10.2018
არუთუნ აგაბაბიანი	„ქართული ოცნება-კონსერვატორები“ - თავმჯდომარე („ქართული ოცნება“)	01.12.2017
გიორგი ბეროშვილი	„ქართული ოცნება-მრეწველები“ - თავმჯდომარე („ქართული ოცნება“)	01.12.2017
თამარ გოგოლაძე	„ქართული ოცნება-მწვანეები“ - თავმჯდომარე („ქართული ოცნება“)	22.12.2017
ეკა ტატალაშვილი	„ევროპული საქართველო მოძრაობა თავისუფლებისთვის“ - თავმჯდომარის მოადგილე („ევროპული საქართველო“)	11.10.2018
ნოდარ ტალახაძე	„ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო-ახალციხე“ - თავმჯდომარის მოადგილე („ქართული ოცნება“)	15.02.2018
გიორგი ბაქროშვილი	„ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო-ახალციხე“ - თავმჯდომარის მოადგილე („ქართული ოცნება“)	15.02.2018
ალექსი ლაბაძე	„ქართული ოცნება-კონსერვატორები“ - თავმჯდომარის მოადგილე („ქართული ოცნება“)	15.02.2018
პეტროს ვართანიანი	„ქართული ოცნება-მრეწველები“- თავმჯდომარის მოადგილე („ქართული ოცნება“)	15.02.2018

საკრებულოს სხდომები:

საანგარიშო პერიოდში სულ საკრებულოს 40 და ბიუროს 26 სხდომა გაიმართა. ქვორუმის არ არსებობის გამო ერთი სხდომა ჩაიშალა. საკრებულოს 40 სხდომიდან 11 რიგგარეშედ გაიმართა.

ახალციხის საკრებულოს რიგგარეშე სხდომების რაოდენობა წლების მიხედვით

2017 წელი (ნოემბერი-დეკემბერი)	2018 წელი	2019 წელი
0	4	7

2017 წლის ნოემბრიდან 2019 წლის დეკემბრის ჩათვლით, საკრებულომ დღის წესრიგით 303 საკითხი განიხილა, მათ შორის 162 დადგენილების და 121 განკარგულების პროექტი დაამტკიცა. შესაბამისად, კენჭისყრაზე სულ 283 საკითხი გავიდა. დანარჩენი კი ცნობად მიიღეს.

საკრებულოს უმრავლესობამ ყველა საკითხს მხარი დაუჭირა. გამონაკლისი მხოლოდ ერთია - მერის მიერ წარმოდგენილი [განკარგულების პროექტი](#) „ქ. ახალციხე, ასპინძის ქუჩა N 44 მიმდებარე ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი 62.09.54.718) არსებული ობიექტის დემონტაჟის განხორციელების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“. საკრებულოს გადაწყვეტილებით ამ შენობის დემონტაჟის საკითხი კენჭისყრაზე აღარ დადგა.

ორი წლისა და ორი თვის განმავლობაში, საკრებულოში კენჭისყრაზე გატანილი 283 საკითხიდან მმართველი პარტიის წარმომადგენლებმა 7-ჯერ მისცეს ხმა წინააღმდეგ: მანანა ბალიაშვილი, ზოია ბალიაშვილი, იოსებ კაპანაძე და სიმონ გელაშვილი მხარს არ უჭერდნენ თამარ გოგოლაძის განუვრიაანებას საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში; ზოია ბალიაშვილი ეწინააღმდეგებოდა მერიის ქონების უპირობო აუქციონიდან პირობიან აუქციონზე გატანას, თამარ გოგოლაძემ კი ხმა არ მისცა მერის მორიგე მძღოლისა, ასევე ააიბ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისთვის“ ცხოველების იმუნიზაცია-კასტრაციის ფუნქციის დამატებას.

რამდენ საკითხს არ დაუჭირეს მხარი „ქართული ოცნების“ წევრებმა

საკრებულოს წევრი	თავი შეიკავა კენჭისყრაში მონაწილეობისგან	წინააღმდეგ მისცა ხმა
თამარ გოგოლაძე	12	2
მანანა ბალიაშვილი	0	1
ზოია ბალიაშვილი	0	2
იოსებ კაპანაძე	0	1
სიმონ გელაშვილი	0	1
გიორგი ბეროშვილი	2	0

გიორგი ჭელიძე	1	0
ამბარცუმ ბაბოიანი	9	0
ჯამი	24	7

ახალციხის საკრებულომ ზედამხედველობის ორგანოს დასკვნების მოსამზადებლად 12 სამართლებრივი აქტი გაუგზავნა და ყველა მათგანზე დადებითი პასუხი მიიღო.

საანგარიშო პერიოდში, საკრებულომ ქონება უსასყიდლოდ ერთხელ [გაცა](#). სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო“ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები სოფელ აწყურში (1438.00 კვ.მ.) და ქალაქ ვალეში (2000.00 კვ.მ) მიიღო. ორივე ფართობზე სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შენობებია განთავსებული, თუმცა ეს მიწები მუნიციპალიტეტის საკუთრებაში იყო.

საკრებულომ ხუთჯერ მისცა თანხმობა მერიას ისეთი პროექტების განხორციელებაზე, რომელთა ღირებულებაც ბიუჯეტის გადასახდელების 5%-ს აღემატებოდა:

- 1) „საბარგო სადგურის“ დასახლებაში გზის რეაბილიტაცია - 1,474,746 ლარი.
- 2) ურაველი-აგარის (მონასტრამდე) მისასვლელი გზის რეაბილიტაცია - 1,600,000 ლარი.
- 3) ნარჩენების შეგროვებისა და გატანის მომსახურება - 1,100,100 ლარი.
- 4) რუსთაველისა და კეცხოველის ქუჩების რეაბილიტაცია - 1,554,321 ლარი.
- 5) ნარჩენების შეგროვებისა და გატანის მომსახურება - 1,124,943 ლარი.

2018 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში 6, 2019 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში კი 11 ცვლილება შევიდა. 17-ვე ცვლილების პროექტის ავტორი მერი იყო და დეპუტატების უმრავლესობამ ყველას მხარი დაუჭირა. „ევროპული საქართველოს“ წარმომადგენლებმა ბიუჯეტის ხშირი ცვლილება არაერთხელ [გააპროტესტეს](#).

საკვლევ პერიოდში საკრებულომ ერთი ახალი რეგიონული ააიპ-ის „სამცხე-ჯავახეთის ადგილის მართვის ორგანიზაციის“ დაფუძნებას [დაუჭირა მხარი](#). აღნიშნული ააიპ-ი დაფინანსებას სამცხე-ჯავახეთის ექვსივე მუნიციპალიტეტიდან მიიღებს და ტურიზმის მიმართულებით იმუშავებს.

თავი 3. სვლიჯაბი ახალციხის საჩიბულოს შებადგენლობაში

ახალციხის 2017 წლის მონვევის საკრებულოში 2017 წლის 1 დეკემბერს პირადი განცხადების საფუძველზე უფლებამოსილება შეუნყდა საკრებულოს წევრს „ევროპული საქართველოდან“ ვაჟა ჩიტაშვილს. იგი ამავე პარტიიდან 2017 წლის 15 დეკემბერს ემანუელ პოზოიანმა ჩაანაცვლა.

2018 წლის 24 აგვისტოს უფლებამოსილება „ევროპული საქართველოს“ წევრს გელა დემეტრაძეს შეუნყვიტეს. მიზეზი ახალციხის რაიონული სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი [გახდა](#). საქმე ახალციხე-ადიგენის გზაზე მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევას ეხება. დემეტრაძე 2018 წლის 11 ოქტომბერს „ევროპული საქართველოს“ წევრმა, ეკა ტატალაშვილმა ჩაანაცვლა.

ჯერ ჩიტაშვილის, შემდეგ კი დემეტრაძის უფლებამოსილების შეწყვეტას საკრებულოში ფრაქცია „ევროპული საქართველოს“ ორჯერ გაუქმება მოჰყვა. შესაბამისად აღნიშნული ფრაქცია ორჯერ შეიქმნა. პირველად მისი თავმჯდომარე გელა დემეტრაძე იყო, თავმჯდომარის მოადგილე კი ირინა გელაშვილი. მეორედ ფრაქციის თავმჯდომარედ ირინა გელაშვილი აირჩიეს და მის მოადგილედ ეკა ტატალაშვილი დაინიშნა.

თავი 4. საკრებულოს კომისიების და ფინანსების საქმიანობა

საკრებულოს კომისიების საქმიანობა:

ახალციხის საკრებულოში ხუთმა მუდმივმოქმედმა კომისიამ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში 86 სხდომა გამართა, მათ შორის ორი (ქონებისა და საფინანსო კომისიების) გაერთიანებული. ქვორუმის არარსებობის გამო არცერთი კომისიის სხდომა არ ჩაშლილა.

საკრებულოს კომისიების სხდომების რაოდენობა				
იურიდიულ, სამანდატო საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია	სივრცით -ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია	საფინანსო -საბიუჯეტო კომისია	სოციალურ საკითხთა კომისია	ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია
22 სხდომა	9 სხდომა	21 სხდომა	12 სხდომა	20 სხდომა

ყველა სხდომაზე ერთად დღის წესრიგით 209 საკითხი იქნა განხილული. მათ შორის ყველა, გარდა ოთხისა, ერთხმად და უცვლელი სახით მიიღეს. ერთ საკითხს დეპუტატებმა მხარი არ დაუჭირეს, სამ მათგანში კი ცვლილება შეიტანეს და კენჭი ისე უყარეს.

საკითხი, რომელიც დეპუტატებმა არ დააკმაყოფილეს ქონებისა და საფინანსო კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე იქნა [განხილული](#). ბიზნესმენი საკრებულოს სათამაშო აპარატებზე მოსაკრებლის კლებას თხოვდა, უფრო კონკრეტულად კი კვარტალში თითო აპარატზე განსაზღვრული 3000 ლარის 2000-მდე დაწევა სურდა. მიუხედავად უარისა, ექვსი თვის თავზე, იგივე საკითხი იგივე კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე ხელახლა [გაიტანეს](#) და მხარიც დაუჭირეს, იმ არგუმენტით, რომ თუ მოსაკრებლის ოდენობას არ დაწევდნენ, ობიექტი დაიკეტებოდა და იქ დასაქმებული ადამიანები სამუშაო ადგილებს დაკარგავდნენ.

დანარჩენ სამ საკითხში ცვლილებები მხოლოდ **სოციალურ საკითხთა კომისიამ** შეიტანა:

- 1) ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებზე კვარტალში გათვალისწინებული 50 ლარი, 100 ლარით [განისაზღვრა](#).
- 2) სოციალური ქულების მქონე თითო მოქალაქის ოპერაციისთვის დასაფინანსებელი თანხის ზედა ზღვარი 800 ლარიდან 1000 ლარამდე [გაიზარდა](#).
- 3) ნულიდან 57 ათასი ქულის მქონე მოქალაქეებს ქირურგიული ოპერაციებისთვის ლიმიტირებულ 2 500 ლარზე 500 ლარი [დაემატათ](#). 75-დან 100 ათასი ქულის მქონე მოქალაქეებს კი უფლება მიეცათ, მათთვის გათვალისწინებული (გადასახდელი თანხის 70% არაუმეტეს 1500 ლარისა) მუხლიდან თანხა არა მხოლოდ ერთხელ, არამედ მრავალჯერ მოეთხოვათ.

ხუთი კომისიიდან საკრებულოს სამართლებრივი აქტების პროექტები მხოლოდ ერთმა, იურიდიულმა კომისიამ წარუდგინა. აღნიშნული კომისიის 36 პროექტიდან 13-ის ავტორი ამავე კომისიის თავმჯდომარე ვლადიმერ კურტანიძეა. აღსანიშნავია, რომ ახალციხის საკრებულოში მხოლოდ ამ კომისიას ჰყავს ერთი მონვეული სპეციალისტი საკრებულოს უფლებამოსილების ვადით.

ხუთივე კომისიამ ჯამში, საკრებულოს მიერ განსახილველი სამართლებრივი აქტების პროექტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე 198 დასკვნა მოამზადა.

კომისიების მომზადებული დასკვნების რაოდენობა სამართლებრივი აქტის პროექტის კანონშესაბამისობაზე				
იურიდიულ, სამანდატო საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია	სივრცით -ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია	საფინანსო -საბიუჯეტო კომისია	სოციალურ საკითხთა კომისია	ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია
81	15	34	16	57

საკრებულოს ფრაქციების საქმიანობა:

ახალციხის საკრებულოში მოქმედი 5 ფრაქციიდან 4-ს რეგისტრაციის დღიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით არცერთი საკითხის ინიცირება არ მოუხდენია.

საანგარიშო პერიოდში ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო - ახალციხეს“ თავმჯდომარემ გიორგი გვარამაძემ მხოლოდ ორი სამართლებრივი აქტის პროექტი მოამზადა:

- „ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, რომელიც არ არის საკრებულოს თანამდებობის პირი, უფლებამოსილების განხორციელების მიზნით განუული ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 1 დეკემბრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
- „ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირების მიერ სანჯავით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“.

ორივე სამართლებრივი აქტის პროექტს საკრებულომ მხარი დაუჭირა.

ფრაქციების მიერ განუული მწირი საქმიანობის ფონზე, შეუსაბამოა მათ ფუნქციონირებაზე ახალციხის მუნიციპალიტეტის მიერ განუული ხარჯები, რამაც ჯამში 326,784.71 ლარი შეადგინა, კერძოდ:

ფრაქციების საქმიანობაზე განეული ხარჯები	
სატელეფონო კომუნიკაცია	3,842.46
მივლინებები	1,175
სანვავის ღირებულება	10,428.25
სახელფასო ანაზღაურება	304,589
პრემია	6,750

თავი 5. საკრებულოს წინაშე ანგარიშვადგებილი ორგანოების კონსტრუქტი

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის თანახმად, საკრებულოს უფლებამოსილებას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოებისა და ამ ორგანოების თანამდებობის პირების საქმიანობის კონტროლი, მათი ანგარიშების მოსმენა და შეფასება. მერი კი ანგარიშვადგებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მოსახლეობის წინაშე.

ახალციხის 2017 წლის მოწვევის საკრებულომ სულ მოისმინა და დადებითად შეაფასა ახალციხის მერის და მისი მოადგილეების მიერ წარდგენილი 19 ანგარიში.

საანგარიშო პერიოდში მერს (წერილობით) კითხვით საკრებულოს 5-მა წევრმა მიმართა. როგორც საკრებულოდან გამოთხოვილ საჯარო ინფორმაციაში ვკითხულობთ, საკითხები ძირითადად შესყიდვებს, ასევე, ინფრასტრუქტურულ პროექტებს ეხებოდა და მათ პასუხი დროულად გაეცათ.

საკრებულოს, ან მის ფრაქციებს/კომისიებს აღმასრულებელი ორგანოს წარმომადგენლები რაიმე საკითხის განსახილველად წარმომადგენლობით ორგანოში არ მიუწვევია. იყო მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა, როცა სხდომაზე [იქცა](#), რომ „კონკრეტული სამსახურის უფროსის სხდომაზე დასწრება კარგი იქნებოდა“.

2018 წლის ბიუჯეტის განხილვის პროცესში საკრებულოს შენიშვნები არ ჰქონია, 2019 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტში წარდგენილი ოთხი [შენიშვნა](#) მერიამ სრულად გაითვალისწინა, 2020 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის ექვსი [შენიშვნიდან](#) კი მხოლოდ ნაწილი გაიზიარა.

2017-2019 წლებში ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მუნიციპალიტეტის ორგანოების აუდიტის ჩატარების მიზნით დამოუკიდებელი აუდიტორის მოწვევის შესახებ გადანყვეტილება არ მიუღია;

ასევე, ახალციხის მუნიციპალიტეტის 2017 წლის მოწვევის საკრებულოს რაიმე სახის გადაცდომა, ინტერესთა კონფლიქტი, ან თანამდებობრივი შეუთავსებლობა ახალციხის მერის საქმიანობაში არ გამოუვლენია;

თუმცა, საპირისპიროს ამტკიცებს „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ მიერ გამოქვეყნებული კვლევები, რომელთა თანახმადაც [ახალციხის მერის](#), ასევე, მისი [მრჩევლის](#) კომპანიები ახალციხეში ტენდერებს იგებენ. ორივე შესაძლო კორუფციულ საკითხს სუს-ის ანტიკორუფციული დეპარტამენტი სწავლობს.

თამარ გოგოლაძე ერთადერთი დეპუტატია, რომელმაც ახალციხის მერის შესახებ კვლევის გამოქვეყნების შემდეგ პროტესტი [გამოხატა](#). იგი საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომას არ დაესწრო, რადგან „ბოლო დროს განვითარებული მოვლენების გამო ახალციხის მერს უნდობლობას უცხადებდა და მერიაში აუდიტის შესვლას ითხოვდა“. მან 2019 წლის 30 ოქტომბრის სხდომაზე ახალციხის მერისთვის, უფლებამოსილების შეჩერებაც [მოითხოვა](#), რადგან მის საკითხს ანტიკორუფციული სააგენტო იძიებს, თუმცა, ამ განცხადებებს საკრებულოს სხვა დეპუტატების მხრიდან რეაგირება არ მოჰყოლია, თავად გოგოლაძეს კი ამის შესახებ საკრებულოსთვის წერილობით არ მიუმართავს.

თავი 6. ანასრულად შევსებული დეკლარაციები

ახალციხის საკრებულოში მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს თანამდებობის პირების მიერ ქონებრივი დეკლარაციის არასრულად, ხარვეზებით შევსების საკითხი. საკრებულოს 17 თანამდებობის პირიდან (საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე, ფრაქციის თავმჯდომარე და ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე) დეკლარაცია 5 მათგანს არასრულად აქვს შევსებული.

კანონმდებლობის მოთხოვნა:

„საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ კანონის“ თანახმად, პირი თანამდებობაზე დანიშნვიდან ორი თვის ვადაში ვალდებულია სრულყოფილად შეავსოს დეკლარაცია, ასახოს ინფორმაცია საკუთარი და ოჯახის წევრთა ქონებისა და ეკონომიკური ინტერესების შესახებ, სამეწარმეო ორგანიზაციებში არსებული საკუთარი წილები მართვის უფლებით გადასცეს სხვა პირს და თანამდებობაზე დანიშნვიდან 10 დღის ვადაში დატოვოს სამეწარმეო ორგანიზაციის დირექტორის, ხელმძღვანელის პოზიცია.

ხარვეზები ახალციხის საკრებულოს თანამდებობის პირების დეკლარაციებში:



ზღაღიშვი კირილ

იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

დეკლარაციაში არ აქვს მითითებული, რომ მამა გოდერძი კურტანიძე კოოპერატივ „[ბუბნის](#)“ თავმჯდომარეა, დედა თამარ კურტანიძე კი ამავე კოოპერატივის წევრი.



ვასილ სისვაძე

ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე

ვასილ სისვაძე 2014 წლიდან დღემდე ახალციხის საკრებულოში თანამდებობის პირია, თუმცა მხოლოდ 2014 წლის დეკლარაციაში აქვს მითითებული, რომ მისი მეუღლე მარინე ასანიძე შპს „[ბლაპარის](#)“ 50% წილის მფლობელი და დირექტორია. აქვე, მას

არ აქვს მითითებული, რომ [მისი მეუღლე](#) 2011 წლის 23 სექტემბრიდან ინდივიდუალურ მენარმედა არის რეგისტრირებული.



ამბარცუმ ბაბოიანი

განათლების და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

ამბარცუმ ბაბოიანი 2014 წლიდან ახალციხის საკრებულოში თანამდებობის პირია. მისი მეუღლე [ასია ბაბოიანი](#) 2013 წლიდან ინდივიდუალურ მენარმედაა რეგისტრირებული, თუმცა ამბარცუმ ბაბოიანს, ამის შესახებ 2014 წელს შევსებულ დეკლარაციაში მითითებული არ აქვს.

მოგვიანებით, 2015 წლის 4 დეკემბერს, დეპუტატის მეუღლემ შპს „[ნატ-ელლა ჯგუფი](#)“ დააფუძნა, იგი თავადაა ამ კომპანიის 100% წილის მფლობელი და დირექტორიც, თუმცა ამბარცუმ ბაბოიანს ამის შესახებ მხოლოდ 2015 წლის დეკლარაციაში უწერია, შემდეგ შევსებულ ოთხ დეკლარაციაში კი - არა.



ბესიკ გოგსაძე

ქონების მართვის კომისიის თავმჯდომარე

ბესიკ გოგსაძეს დეკლარაციაში არ უწერია, რომ მისი მეუღლე ნინო სუდაძე არის კოოპერატივ [„ორცეფის“](#) გამგეობის წევრი და თავმჯდომარის მოადგილე.

ასევე, ბესიკ გოგსაძის დედა, ლამარა გოგსაძე შპს [„ქვისარტყელას“](#) დირექტორი და 100% წილის მფლობელია 2017 წლის იანვრიდან აგვისტომდე, თუმცა გოგსაძეს ამის შესახებ დეკლარაციაში მითითებული არ აქვს.



ეკა ტატალაშვილი

*ფრაქცია „ევროპული საქართველო-მოდრობა თავისუფლებისთვის“
თავმდჯომარე*

ეკა ტატალაშვილს დეკლარაციაში არ უნერია, რომ მისი შვილი, გიორგი ტატალაშვილი არის [ინდივიდუალური მენარმე](#).

თავი 7. საკრებულოს წევრთა ჩართულობა საკრებულოს საქმიანობაში

ახალციხის საკრებულოს რეგლამენტით არ არის დაზუსტებული საკრებულოს წევრის მიერ სხდომის გაცდენისას რა შემთხვევა ითვლება არასაპატიო მიზეზად. საკრებულოს რეგლამენტი ეყრდნობა „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ ჩანაწერს, რომლის თანახმადაც საკრებულოს წევრს ვადამდე შეუწყდება უფლებამოსილება, თუ იგი „არასაპატიო მიზეზით ბედიზედ ექვსი თვის განმავლობაში არ მონაწილეობდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუშაობაში“. სხვა შემთხვევებში, შესაბამის კომისიას არ აქვს ვალდებულება მოსთხოვოს საკრებულოს წევრს გაცდენის მიზეზის მითითება, ან იმსჯელოს გაცდენის საპატიოდ/არასაპატიოდ ჩათვლაზე.

საკრებულოს სხდომების ოქმებში დამსწრეთა სიებში, იმ დეპუტატების გასწვრივ, რომლებიც სხდომებზე შვებულების, ან მივლინების გამო არ იმყოფებიან, მითითებულია: „იმყოფება შვებულებაში“, „იმყოფება მივლინებაში“. შესაბამისად, დანარჩენ შემთხვევებში უნდა ვივარაუდოთ, რომ გაცდენის მიზეზი არასაპატიოა.

მონაწილეობა საკრებულოს სხდომებში:

საკრებულოს წევრების მიერ საკრებულოს სხდომების გაცდენის 340 შემთხვევა დაფიქსირდა, მათ შორის 334 არასაპატიო მიზეზით.

საანგარიშო პერიოდში გამართული 40 სხდომიდან „ქართული ოცნების“ წევრი კობა გელაშვილი 27-ს არ ესწრებოდა, მას 24 გაცდენით „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატი ნატო დარბაიძე მოყვება, შემდეგ კი „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი სამველ ოვეიანი - 23 გაცდენით.

არცერთი სხდომა არ გაუცდენია გელა ნობაძეს, ბესიკ გოგსაძეს და ვლადიმერ კურტანიძეს. მხოლოდ ერთი გაცდენა აქვს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს იოსებ კაპანაძეს.

ახალციხის საკრებულოს წევრების მიერ საკრებულოს სხდომების გაცდენის სტატისტიკა		
საკრებულოს წევრი	სულ გაცდენები	საპატიო მიზეზი
ნატო დარბაიძე („ნაციონალური მოძრაობა“)	24	1
ირინა გელაშვილი („ევროპული საქართველო“)	14	1
გიორგი ბეროშვილი („ქართული ოცნება“)	14	0
გიორგი ვედიაკოვი („ქართული ოცნება“)	19	0

ზოია ბალიაშვილი („ქართული ოცნება“)	4	0
ალექსი ლაბაძე („ქართული ოცნება“)	8	0
თამარ გოგოლაძე („ქართული ოცნება“)	11	0
პაიცარ მინასიანი („ევროპული საქართველო“)	8	0
კობა გელაშვილი („ქართული ოცნება“)	27	0
ამბარცუმ ბაბოიანი („ქართული ოცნება“)	7	1
გიორგი გვარამაძე („ქართული ოცნება“)	14	0
ბესიკ გოგსაძე („ქართული ოცნება“)	0	0
იოსებ კაპანაძე („ქართული ოცნება“)	1	0
ნოდარ ტალახაძე („ქართული ოცნება“)	15	0
პეტროს ვართანიანი („ქართული ოცნება“)	3	0
მკრტიჩ გინოსიანი („ქართული ოცნება“)	4	0
ნოდარ სუდაძე („ქართული ოცნება“)	2	0
სამველ ოვეიანი („ქართული ოცნება“)	23	0
ვასილ სისვაძე („ქართული ოცნება“)	5	0
მანანა ბალიაშვილი („ქართული ოცნება“)	5	3
კობა სანდროშვილი („ნაციონალური მოძრაობა“)	21	0
გელა დემეტრაძე („ევროპული საქართველო“)	1 (2018 წლის 24 აგვისტომდე)	0

ტიგრან მელქონიანი („ქართული ოცნება“)	16	0
სიმონ გელაშვილი („ქართული ოცნება“)	5	0
გიორგი ჭელიძე („ქართული ოცნება“)	12	0
გელა ნობაძე („ქართული ოცნება“)	0	0
არჩილ უჩიძე („ქართული ოცნება“)	16	0
ვლადიმერ კურტანიძე („ქართული ოცნება“)	0	0
არუთუნ აგაბაბიან („ქართული ოცნება“)	10	0
არტაშეს ბალასანიან („ქართული ოცნება“)	11	0
გიორგი ბაქროშვილი („ქართული ოცნება“)	4	0
ზაალ ბერიძე („ქართული ოცნება“)	4	0
ჩიტაშვილი ვაჟა („ევროპული საქართველო“)	2 (2017 წლის დეკემბრამდე)	0
ემანუელ პობოიანი („ევროპული საქართველო“)	20 (2017 წლის დეკემბრიდან)	0
ეკა ტატალაშვილი („ევროპული საქართველო“)	10 (2018 წლის 6 სექტემბრიდან)	0

მონაწილეობა საკრებულოს კომისიების სხდომებში:

საკრებულოს კომისიების მიერ გამართულ 86 სხდომაზე 218 გაცდენა დაფიქსირდა. საკრებულოს სხდომის ოქმებისგან განსხვავებით, აქ მითითებული არაა, ვინ რა მიზეზით არ იმყოფებოდა სხდომაზე.

საანგარიშო პერიოდში სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიამ 9 სხდომა გამართა და 17 გაცდენა დაფიქსირდა. ლიდერი 8 გაცდენით „ქართული ოცნების“ დეპუტატი სამველ ოვეიანია. ვასილ სისვაძეს, გიორგი გვარამაძეს, იოსებ კაპანაძეს და ბესიკ გოქსაძეს არცერთი სხდომა არ გაუცდენიათ.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ 21 სხდომა (ასევე, ქონების მართვის კომისიასთან ერთად ჩაატარა ორი გაერთიანებული სხდომა) გამართა. ყველაზე ხშირად - 23-ჯერ კომისიის სხდომა „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატმა კობა სანდროშვილმა გააცდინა.

ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსებისა და აგრორულ საკითხთა კომისიის 20 სხდომაზე (ასევე, საფინანსო კომისიასთან ერთად გამართულ ორ გაერთიანებულ სხდომაზე) 73 გაცდენა დაფიქსირდა. ლიდერი 21 გაცდენით აქაც კობა სანდროშვილია. ბესიკ გოქსაძეს და ვლადიმერ კურტანიძეს არცერთი სხდომა არ გაუცდენიათ.

სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის 22 სხდომიდან 19 გააცდინა „ქართული ოცნების“ წევრმა გიორგი ვედიაკოვმა. ვლადიმერ კურტანიძეს და იოსებ კაპანაძეს სხდომები არც ამ კომისიაში გაუცდენიათ.

სოციალურ საკითხთა, კულტურის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომებზე ყველაზე მეტი - 8 გაცდენა აქვს „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელს ნატო დარბაიძეს. ამბარცუმ ბაბოიანს და ზოია ბალიაშვილს კი არცერთი გაცდენა არ უფიქსირდებათ.

თავი 8. მოქალაქეთა ჩართულობა საკრებულოს საქმიანობაში

ახალციხის საკრებულოში გამართულ სხდომებს მოქალაქეები თითქმის არასდროს ესწრებიან. თუ არ ჩავთვლით ბიუჯეტების საჯარო განხილვებს (რომლებზეც დამსწრეების დიდ ნაწილი არასამთავრობო ორგანიზაციების, მუნიციპალური სამსახურების, ან მერის მრჩეველთა საბჭოს წარმომადგენლები არიან) საანგარიშო პერიოდში გამართულ სხვა სხდომებზე სულ 2 მოქალაქე იმყოფებოდა.

ახალციხის საკრებულო კანონის მოთხოვნათა დაცვით სხდომებს ხშირ შემთხვევებში ვერ აანონსებს. როგორც საკრებულოდან გამოგზავნილ წერილში ვკითხულობთ, მიზეზი „გადაუდებლად განსახილველი საკითხებია“.

ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეების ჩართულობის მიზნით ახალციხის საკრებულომ მიიღო შემდეგი ნორმატიული აქტები:

- „ახალციხის მუნიციპალიტეტის მერისა და ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების მოწყობისა და განუვლი მუშაობის შესახებ ანგარიშის წარდგენის წესისა და ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ განუვლი მუშაობის შესახებ ანგარიშის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ 2018 წლის 7 სექტემბრის N52 დადგენილება;
- „ახალციხის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ 2018 წლის 11 ივნისის N44 დადგენილება.

საკრებულო მოსახლეობას ანგარიშს, კანონით განსაზღვრული წესის მიხედვით, წელიწადში ერთხელ პირველ ნოემბრამდე აბარებს. თუმცა, მაგალითად, ერთ-ერთ ასეთ სხდომას, რომელიც 2018 წლის 31 ოქტომბერს გაიმართა, მუნიციპალიტეტში არსებული 46 დასახლებული პუნქტიდან მხოლოდ 11 მოქალაქე დაესწრო.

ამჟამად მიმდინარეობს მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდის განახლება, მისი დასრულების შემდეგ მოქალაქეებს საშუალება ექნებათ, რომ საკუთარი იდეების, მოთხოვნებისა და მათ გარშემო არსებული პრობლემების შესახებ თვითმმართველობას ელექტრონულად მიმართონ, ან მოითხოვონ ინფორმაცია.

საანგარიშო პერიოდში, ახალციხის საკრებულოში არცერთი პეტიცია არ წარუდგენიათ.

თავი 9. გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობა

ახალციხის საკრებულოში გენდერული თანასწორობის საბჭო, 2018 წლის 14 მარტიდან ფუნქციონირებს. ამ დღიდან 2019 წლის 31 დეკემბრამდე საბჭოს:

- სამართლებრივი აქტების პროექტებზე ანალიზი არ განუხორციელებია;
- საკანონმდებლო აქტების პროექტების ექსპერტიზა არ განუხორციელებია;
- გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად ჩატარებული ღონისძიებების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა არ შეუქმნავებია;
- არ წარუდგენია წინადადებები და რეკომენდაციები ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, ან საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოში.

გენდერული თანასწორობის საბჭოში გენდერული თანასწორობის დარღვევის თაობაზე განცხადებები არ შესულა.

გენდერული თანასწორობის საბჭომ, რომელიც 11 ქალისა და 5 კაცისგან არის დაკომპლექტებული, ახალციხის საკრებულოს ანგარიში 2019 წლის 26 ივლისს [წარუდგინა](#). მიუხედავად იმისა, რომ საბჭო 2018 წლის მარტში შეიქმნა, ანგარიში ერთი თვით ადრე, ამავე წლის თებერვლიდან 2019 წლის თებერვლის ჩათვლით პერიოდს მოიცავს. დოკუმენტში ყურადღება გამახვილებულია არა უშუალოდ საბჭოს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებზე, არამედ იმაზე, თუ რა შეხვედრები გამართა მერიის გენდერული თანასწორობის განყოფილებამ, ასევე, რა შეხვედრები გაიმართა მერიაში არსებულ „ქალთა ოთახში“. ანგარიშიდან ვიგებთ, თუ რა ტრენინგებსა და კონფერენციებს ესწრებოდნენ საბჭოს წევრები.

თავი 10. საკრებულოს ხარჯები

სახელფასო ანაზღაურება და პრემია:

ახალციხის 2017 წლის მონვევის საკრებულოს ხარჯებმა (2017 წლის ნოემბრიდან 2019 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით) ჯამში 1 260 757.76 ლარი შეადგინა. ამ თანხიდან ხელფასებისთვის 1 131 599.09 ლარი გაიწერა, მათ შორის წევრების უფლებამოსილების განსახორციელებელმა ხარჯმა 205 705 ლარი შეადგინა, 921 385.09 ლარი კი საკრებულოს თანამდებობის პირებმა და აპარატის თანამშრომლებმა მიიღეს.

ახალციხის 2017 წლის მონვევის საკრებულოსა და აპარატში გაცემული შრომის ანაზღაურება	
2017 წელი (ნოემბერი-დეკემბერი)	42 303
2018 წელი	543 799
2019 წელი	545 497.09
ჯამი	1 131 599.09

ამავე პერიოდში ჯილდო-პრემია-დანამატის სახით საკრებულოს თანამდებობის პირებმა და აპარატის თანამშრომლებმა ჯამში 51 500 ლარი მიიღეს.

ახალციხის 2017 წლის მონვევის საკრებულოში გაცემული ჯილდო/პრემია/დანამატი	
2017 წელი (ნოემბერი-დეკემბერი)	27 360
2018 წელი	11 200
2019 წელი	12 940
ჯამი	51 500

ახალციხის საკრებულოში 2017 წლის დეკემბერში პრემია ყველა თანამშრომელმა მიიღო, 2018 და 2019 წლებში კი პრემია-დანამატი მხოლოდ აპარატის თანამშრომლებისთვის გაიწერა. ჯამში, ჯილდო-პრემია-დანამატებზე გახარჯული 51 500 ლარიდან საკრებულოს თანამდებობის პირებმა 19 150 ლარი მიიღეს, 32 350 ლარი კი აპარატის თანამშრომლებზე გაიცა.

როგორც საკრებულოდან გამოთხოვილ საჯარო ინფორმაციაში ვკითხულობთ: „საკრებულოს აპარატის თანამშრომლებზე ფულადი ჯილდო გაიცა შეფასების შედეგების მიხედვით. დახმარება არ გაცემულა. რაც შეეხება დანამატს, მიეცა საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის სპეციალისტს დამატებითი ფუნქციების შესრულების გამო“.

საკრებულოს თანამდებობის პირებზე გაცემული სახელფასო ანაზღაურებისა და პრემიის შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ გრაფიკებში:

საკრებულოს თანამდებობის პირებზე გაცემული შრომის ანაზღაურება და პრემია			
სახელი გვარი	თანამდებობა	შრომის ანაზღაურება	პრემია
გელა ნოზაძე	საკრებულოს თავმჯდომარე	88 190	2 750
იოსებ კაპანაძე	თავმჯდომარის მოადგილე	54 559	2 150
ვლადიმერ კურტანიძე	სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე	38 285	1 500
მანანა ბალიაშვილი	საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე	38 285	1 500
ვასილ სისვაძე	სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე	38 285	1 500
ამბარცუმ ბაბოიანი	სოციალურ საკითხთა, კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე	38 285	1 500
ბესიკ გოგსაძე	ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების და აგრორულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე	38 285	1 500
ჯამი		334 174	12 400

საკრებულოს ფრაქციების თავმჯდომარეებსა და მათ მოადგილეებზე გაცემული სახელფასო ანაზღაურებისა და პრემიის შესახებ ინფორმაცია იხილეთ გრაფიკში:

ფრაქციის თავმჯდომარეებზე და მათ მოადგილეებზე გაცემული შრომის ანაზღაურება და პრემია

სახელი გვარი	თანამდებობა	შრომის ანაზღაურება	პრემია
გიორგი გვარამაძე	„ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო-ახალციხე“ - თავმჯდომარე	38 285	1 500
გელა დემეტრაძე	„ევროპული საქართველო მოძრაობა თავისუფლებისათვის“ - თავმჯდომარე	12 275	750
ირინა გელაშვილი	„ევროპული საქართველო მოძრაობა თავისუფლებისათვის“ - თავმჯდომარის მოადგილე/ თავმჯდომარე	30 156	0
არუთუნ აგაბაბიანი	„ქართული ოცნება-კონსერვატორები“ - თავმჯდომარე	38 285	1 500
გიორგი ბეროშვილი	„ქართული ოცნება-მრენველები“ - თავმჯდომარე	38 285	1 500
თამარ გოგოლაძე	„ქართული ოცნება-მწვანეები“ - თავმჯდომარე	38 262	1 500
ეკა ტატალაშვილი	„ევროპული საქართველო მოძრაობა თავისუფლებისთვის“- თავმჯდომარის მოადგილე	17 091	0
ნოდარ ტალახაძე	„ ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო-ახალციხე“ - თავმჯდომარის მოადგილე	23 000	0
გიორგი გაქროშვილი	„ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო-ახალციხე“ თავმჯდომარის მოადგილე	23 000	0
ალექსი ლაბაძე	„ქართული ოცნება-კონსერვატორები“ - თავმჯდომარის მოადგილე	23 000	0
პეტროს ვართანიანი	„ქართული ოცნება-მრენველები“- თავმჯდომარის მოადგილე	22 950	0
ჯამი		304 589	6 750

საკრებულოს წევრის საქმიანობის ანაზღაურება:

“ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” საკრებულოს იმ წევრისთვის, რომელიც არ იკავებს თანამდებობას და, შესაბამისად, არ აქვს ანაზღაურება, ითვალისწინებს საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთვის განეული ხარჯების ანაზღაურების შესაძლებლობას, რომლის ჯამურმა ოდენობამაც ახალციხის 2017 წლის მონვევის საკრებულოში 200 705 ლარი შეადგინა.

ახალციხის 2017 წლის მონვევის საკრებულოში საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთვის წევრობაზე განეული ხარჯების ანაზღაურება	
2017 წელი (ნოემბერი-დეკემბერი)	7 790
2018 წელი	97 115
2019 წელი	95 800

სამივლინებო ხარჯები

ახალციხის საკრებულოს წევრების და აპარატის თანამშრომლების მივლინებებზე საანგარიშო პერიოდში, ჯამში 3 724 ლარი დაიხარჯა.

ახალციხის 2017 წლის მონვევის საკრებულოში მივლინებებზე განეული ხარჯი	
2018 წელი	1 502
2019 წელი	2 222
ჯამი	3 724

საკრებულოს თანამდებობის პირების სამივლინებო ხარჯები

მივლინებებზე გახარჯული 3 724 ლარიდან 3 478 ლარი საკრებულოს თანამდებობის პირებზე, 246 ლარი კი აპარატის თანამშრომლებზე გაიცა.

სახელი/გვარი	თანამდებობა	2018 წელი	2019 წელი
გელა ნობაძე	საკრებულოს თავმჯდომარე	135	536
იოსებ კაპანაძე	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	51	1 536
თამარ გოგოლაძე	„ქართული ოცნება-მწვანეები“ თავმჯდომარე	277	0

გელა დემეტრაძე	„ევროპული საქართველო მოძრაობა თავისუფლებისათვის“ თავმჯდომარე	36	0
ეკა ტატალაშვილი	„ევროპული საქართველო მოძრაობა თავისუფლებისათვის“ თავმჯდომარის მოადგილე	121	0
არუთუნ აგაბაბიანი	„ქართული ოცნება-კონსერვატორები“ თავმჯდომარე	36	0
ირინა გელაშვილი	„ევროპული საქართველო მოძრაობა თავისუფლებისათვის“ თავმჯდომარის მოადგილე/ თავმჯდომარე	563	35
მანანა ბალიაშვილი	საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე	0	45
გიორგი გვარამაძე	„ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო-ახალციხე“ თავმჯდომარე	107	0
ჯამი		1 326	2 152

სატელეკომუნიკაციო ხარჯები:

ახალციხის საკრებულომ სატელეფონო კომუნიკაციაზე 7,829.09 ლარის ხარჯი გასწია.

ახალციხის 2017 წლის მონვევის საკრებულოში სატელეფონო კომუნიკაციაზე განუღი ხარჯი	
2017 წელი (ნოემბერი-დეკემბერი)	226.46
2018 წელი	3 061.06
2019 წელი	4 541.57

ავტომობილები და სანჯავის ხარჯები:

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის გამოყოფილია ორი ავტომობილი:

- **TOYOTA - PRADO** - გამოშვების წელი - 2008. შესყიდვის თარიღი - 2010 წელი, ღირებულება - 82 800 ლარი.

- **NIVA - VAZ 21214** - გამოშვების წელი - 2006. მანქანა ახალციხის მუნიციპალიტეტს სახელმწიფო რწმუნებულმა (2014 წლის 23 დეკემბრის N64/ო განკარგულებით) გადასცა.

სამსახურეობრივი ავტომობილით სარგებლობენ საკრებულოს თავმჯდომარე და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე. ადგილობრივი ბიუჯეტიდან შესყიდულ საწვავს კი საკრებულოს ყველა თანამდებობის პირი საკუთარი მანქანებისთვის იყენებენ, გარდა ორისა: ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო-ახალციხეს“ თავმჯდომარის მოადგილე ნოდარ ტალახაძე და ფრაქცია “ქართული ოცნება-მწვანეების” თავმჯდომარე თამარ გოგოლაძე. საანგარიშო პერიოდში მათზე საწვავი არასდროს გაცემულა.

ჯამში ახალციხის საკრებულომ 26 535.03 ლიტრი საწვავი გახარჯა, რომლის ღირებულებამაც 57 615.86 ლარი შეადგინა.

ახალციხის საკრებულოს მიერ გახარჯული საწვავი		
წელი	ლიტრი	ღირებულება
2017 (ნოემბერი-დეკემბერი)	969.66	1 935.62
2018	8 446.09	18 195.55
2019	17 119. 28	37 484.69

ახალციხის საკრებულოში, საანგარიშო პერიოდში, ავტომობილების შეკეთებაზე 8 489 ლარი დაიხარჯა.

რეკომენდაციები

კონტროლის განხორციელება:

- საკრებულოს წევრები უფრო აქტიურად უნდა იყვნენ ჩართულნი საზედამხებველო საქმიანობაში, კერძოდ უფრო ხშირად უნდა იყენებდნენ კონტროლის მექანიზმებს, გადადგან ქმედითი ნაბიჯები სახელმწიფო შესყიდვების პროცესის, მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების ზედამხებველობის მიზნით;
- აღმასრულებელ ორგანოთა საქმიანობის ზედამხებველობის სფეროში აქტიურად უნდა იყვნენ ჩართული საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიები;
- საკრებულომ აქტიურად და კეთილსინდისიერად უნდა იმუშაოს მუნიციპალიტეტში ინტერესთა კონფლიქტის, თანამდებობრივი შეუთავსებლობის, საკრებულოს რეგლამენტის და ეთიკის ნორმების დარღვევის ფაქტების გამოვლენაზე.

საკრებულოს სხდომები:

- ახალციხის საკრებულომ უნდა დახვეწოს მუშაობის საორგანიზაციო მხარე, შეამციროს რიგგარეშე სხდომების რაოდენობა, ასევე, კანონის შესაბამისად უზრუნველყოს ყველა სხდომის დაანონსება. წინააღმდეგ შემთხვევაში ხელი ეშლება მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფას, ინტერესთა ჯგუფების მობილიზებას, სხდომაზე განსახილველი საკითხებისთვის მომზადების შესაძლებლობას, სათათბირო ორგანოს გამჭვირვალობას.

ანგარიშვალდებულება:

- საკრებულოს, ისევე როგორც კომისიების სხდომებზე საკრებულოს წევრთა დასწრების მდგომარეობა საგრძნობლად უნდა გაუზობესდეს. მიგვაჩნია, რომ საკრებულოს ყველა წევრი პასუხისმგებლობით უნდა ეკიდებოდეს და ესწრებოდნენ სხდომებს. ამასთან, საკრებულოს თითოეული წევრის მხრიდან სხდომის გაცდენის საპატიო თუ არასაპატიო მიზეზები უნდა იყოს გამორკვეული და სათანადო ღონისძიებებიც გამოყენებული.
- თანამდებობის პირთა მიერ დეკლარაციების შევსება გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს, ამასთან, დეკლარაციების არასრულად შევსება კორუფციის საფრთხესაც შეიცავს. ამიტომაც აუცილებელია, რომ თანამდებობის პირებმა დეკლარაცია სრულად შეავსონ.

ფრაქციების საქმიანობა:

- მნიშვნელოვანია, რომ ფრაქციის საქმიანობა სარგებლის მომტანი იყოს შესაბამისი თვითმმართველობისათვის, ფრაქცია აქტიურად უნდა ჩაერთოს საკრებულოს უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხების განხილვისა თუ გადართვის პროცესში, შეისწავლოს/გააკონტროლოს მერიისა თუ მუნიციპალური იურიდიული პირების საქმიანობა; წარსდგეს საკრებულოში ინიციატივებით, აქტიურად ჩაერთოს ბიუჯეტის პროცესში და ა.შ. ფრაქციები მნიშვნელოვნად ზრდიან თვითმმართველობაში მოქალაქეთა ჩართულობას, მხარს უჭერენ ადგილობრივ ინიციატივებს, აგრეთვე მოქალაქეთა საჭიროებებისა და პრობლემების ადვოკატირებას. შესაბამისად, მოვუწოდებთ ფრაქციებს, აღნიშნული ინსტრუმენტები აქტიურად გამოიყენონ;

საკრებულოს ხარჯები:

- მნიშვნელოვანია, რომ საკრებულოს მიერ გაწეული ხარჯები სრულ თანხვედრაში იყოს კანონმდებლობით მისთვის განკუთვნილი უფლებამოსილებების განხორციელებასთან;
- საკრებულომ მკაცრად უნდა აკონტროლოს როგორც უშუალოდ წარმომადგენლობითი ორგანოს, ასევე ზოგადად მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ხარჯები და ორიენტირებული იყოს ფინანსური რესურსების ეკონომიაზე.

დასახლების საერთო კრება:

- ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიხედვით, თვითმმართველობაში მოქალაქეთა ჩართულობის ერთ-ერთ მთავარ მექანიზმს დასახლების საერთო კრება წარმოადგენს, მისი მოწვევის უფლება აქვს როგორც ამომრჩევლებს, ასევე მუნიციპალიტეტის მერს საკუთარი ინიციატივით ან საკრებულოს შუამდგომლობით.
- რადგანაც ახალციხის დასახლების საერთო კრება ჯერ არ ჩატარებულა, მნიშვნელოვანია, რომ საკრებულოს ინიციატივით ამოქმედდეს ჩართულობის ეს მექანიზმი, მიმართოს მერს მისი ჩატარების შუამდგომლობით. დასახლების საერთო კრების ჩატარება მუნიციპალიტეტისათვის აუცილებელია ყოველი მომდევნო წლის ბიუჯეტის უკეთ დასაგეგმად.